საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი **29.07.2021.**

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ციცინო ჩხაიძე, ამირან გიგინეიშვილი, აკაკი იმნაიშვილი და გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულებაში მიმდინარე წლის 11 ივნისის საქართველოს მთავრობის N969 განკარგულებით შესული ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 460,0 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაზიანებული სახლებისათვის პროფნასტილის მასალების შეძენისათვის. მან ასევე აღნიშნა, რომ წინა წლებში მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხებიდან (ეკონომია) 74248 ლარი და ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების 95000 ლარით შემცირების ხარზე 169248 ლარი მიიმართოს აკეთის და ჩოჩხათის (სოფელი გულიანი) ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიით დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებაზე.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურისა სამსახურის წინადადების საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა ქ. ლანჩხუთში ორაგვისღელის უბანში ჩატარდეს ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები 175900 ლარის ფარგლებში, სოფელ ქვიანში რუსთაველის ქუჩაზე გადასასვლელ ხიდის მოწყობაზე მიიმართოს 152500 ლარი, სოფელ ლესაში კორეის უბანში ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიიმართოს 36600 ლარი, სოფელ ჩოჩხათში ნანული სანაძის ეზოსთან გადასასვლელის მოწყობაზე 25000 ლარი. კვირკველიას ქუჩაზე სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებაზე სანიაღვრე არხების დამატებით სამუშაოების დაფინანსებაზე მიიმართოს

29000 ლარი, სოფელ შუხუთში გაბიონის მოწყობაზე 12000 ლარი, აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიით დაზიანებული მ. ჩხაიძის სახლის სარეაბილიტაციოდ 22000 ლარი სტიქიით დაზიანებული ობიექტებისათვის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი თანხის ნაცვლად დაფინანსება განხორციელდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მამათის წყალსადენის რეაბილიტაციაზე დამატებით გამოიყოს 5000 ლარი. ჯიხეთის დედათა მონასტრის ელექტროფიცირების ღონისძიების დაფინანსებაზე მიიმართოს 30000 ლარი. ასევე გაიზარდოს მუნიციპალიტეტის გარე განათების არაფინანსური აქტივების მუხლი 80,0 ათასი ლარით სპეც. ტექნიკის შესაძენად. გაიზარდოს ჯანდაცვის ობიექტების ღონისძიებების არაფინანსური აქტივების მუხლი 2,0 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის ვებგვერდის განახლების პროგრამაზე მიიმართოს 4100 ლარი.

ა(ა)იპ-დან შემოსული მომართვების განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 40,0 ათასი ლარით. საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის გურიას დაფინანსებაზე გამოიყოს 25000 ლარი, შპს სტადიონის 25000 ლარი, ა(ა)იპ ჯანდაცვის დაფინანსება გაიზარდოს 19400 ლარით, ა(ა)იპ კულტურის ცენტრის 15000 ლარით, ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 2500 ლარი.

ზემოაღნიშნული ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გეგმის 390800 ლარით და ჯარიმების, სანქციების და საურავების 310200 ლარის გაზრდის ხარჯზე.

საქართველოს კანონის პროექტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გადასახდელებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს 9211,1 ათასი ლარით, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადი 8211,1 ათასი ლარი, ანუ გაიზარდოს 690,8 ათასი ლარით, ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი 1000,0 ათასი ლარი, ანუ შემცირდეს 300,0 ათასი ლარით.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული წერილის საფუძველზე ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთს" ესაჭიროება დაფინანსების გაზრდა 4000 ლარით და მოითხოვა, რომ წარმოდგენილ საკითხში გათვალისწინებული იქნას ზემოაღნიშნული, რასაც ერთხმად დაეთანხმნენ დეპუტატები.

დეპუტატმა **ციცინო ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთს" ფეხბურთის ფედერაციისგან არ აქვთ არანაირი დახმარება და ამიტომ აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს ხელშეწყობა, ვინაიდან აღნიშნული გუნდი არის ძალიან წარმატებული. მან ასევე გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ბიუჯეტიდან ისევ ხდება საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას" დაფინანსა ვალდებულებების დასაფარად და დააყენა წინადადება, რომ საჭიროა კლუბის ხელმძღვანელობამ წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია კონკრეტულად რომელი დავალიანების დაფარვა მოხდება 25000 ლარით.

როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ გოგონათა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის ლანჩხუთი" ბიუჯეტიდან ფინანსდება შესაძლებლობის ფარგლებში და ვინაიდან დაფინანსება კლუბისთვის არასაკმარისია, აუცილებელია მოხდეს სპონსორის მოძიება.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნული ცვლილებით კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გათვალისწინებით:

- შპს ქალთა საბეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთის“ დაფინანსება გაიზრდოს 4000 ლარით.

სხვადასხვა

- დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ სოფელ შუხუთის ბაღს და მოსახლეობას არ აქვს წყალი. მან მოითხოვა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა აღნიშნულ საკითხზე მოახდინოს რეაგირება.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი 29.07.2021 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №6

2021 წლის 29 ივლისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გათვალისწინებით:

- შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთის“ დაფინანსება გაიზარდოს 4000 ლარით.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

29.07.2021 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 55	
2	ციცინო ჩხაიძე	12:00	
3	გიორგი ჩახვაძე	12 00	
4	დავით ჩხარტიშვილი	არ ესწრება	
5	ამირან გიგინეიშვილი	12 00	
6	იოსებ ჩხაიძე	არ ესწრება	
7	აკაკი იმნაიშვილი	12 00	
8	ზურაბ კუკულავა	არ ესწრება	